

ფონდის შესახებ

სსიპ “**ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი**” 2000 წელს შეიქმნა. ფონდის მიზანი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, მათ მიერ დაგეგმილი პროექტების დაფინანსება, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელებაა.

ფონდის საქმიანობა სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს პარლამენტის მიერ 1999 წელს “ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ” მიღებული კანონის საფუძველზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაცია და მათი უფლებების დაცვა - სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცა. აღნიშნული კანონი ხელს უწყობს ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების განვითარებას, მათი საქმიანობის წახალისებას და ფინანსურ მხარდაჭერას.

დაარსების დღიდან ფონდი საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტის, ხოლო მოგვიანებით - 2010 წლამდე - კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო. 2010 წლის ზაფხულიდან, ფონდზე ადმინისტრაციულ კონტროლს [საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო](#) ახორციელებს.

ფონდი უზრუნველყოფს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სათათბიროს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით შექმნილი პროექტების დაფინანსებას.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის **სამოქმედო სტრატეგია** ფონდის მიზნებიდან და საქმიანობიდან გამომდინარეობს.

დღეისათვის საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, ბევრი ბავშვი და ახალგაზრდა საჭიროებს როგორც ფინანსურ, ასევე ფიზიკურ და მორალურ მხარდაჭერას. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ფონდის ფუნქციონირება, რაც გულისხმობს არამარტო პროექტების დაფინანსებას, არამედ იდეების გენერირებას და საკუთარი ინიციატივების ხელშეწყობას. ფონდს შემდეგი **სამოქმედო გეგმა** აქვს დასახული:

- პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად აფინანსებს სხვადასხვა ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას;
- ამავდროულად, თავადაც უწევს ორგანიზებას კულტურულ-საგანმანათლებლო, საერთაშორისო, სპორტულ-გამაჯანსაღებელ, ადამიანის უფლებების დაცვის, გარემოს დაცვის მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებს და პროექტებს;
- თანამშრომლობს სხვადასხვა ფონდთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან, დამატებითი სახსრების მოძიების მიზნით;
- სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან ერთად ზრუნავს ქვეყანაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დამკვიდრების საკითხზე;
- მონაწილეობს ახალგაზრდობის სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაში.

2014 წლის პროგრამული პრიორიტეტები

საქართველოს მთავრობისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრატეგიისა და პრიორიტეტული მიმართულებების, ასევე საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის გათვალისწინებით, მიმდინარე წელს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ პროგრამულ პრიორიტეტებად შემდეგი მიმართულებები განისაზღვრა:

ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა

მედიის განვითარების ხელშეწყობა

ახალგაზრდული მედიის განვითარების ხელშეწყობა; უახლესი მედია ვებ-ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების დანერგვა და მათი სამუალებით ახალგაზრდობის გააქტიურება;

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ჯგუფების ხელშეწყობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია;
მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა კერძოდ:
ყოფილ მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია;
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა;
ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია და მათი ჩართვა
საზოგადოებრივ ცხოვრებაში.;

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ახალგაზრდებში სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია,

სოციალური მეწარმეობა

(სოციალური მეწარმეობა გულისხმობს მეწარმეობის პრინციპებით მოქმედებას, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია და არ ემსახურება ბიზნეს-ინტერესებს).

სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის მხარდაჭერის პროგრამა

ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით, კრეატიული და ინოვაციური მეთოდების/მიდგომების დამკვიდრება-პოპულარიზაცია; პრაქტიკული ღონისძიებების საშუალებით მდგრადი განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის კუთხით შემდეგი აქტივობების წახალისება: შიდა მიგრაციის შემცირება; გარემოს დაცვა; სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების სოციალური პირობების გაუმჯობესება; ახალგაზრდებში სოფლის მეურნეობის, როგორც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგის პოპულარიზაცია;

საქართველოს მთავრობის დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობის რეფორმის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში

თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია ახალგაზრდებში; ახალგაზრდების გააქტიურება და მონიტორინგი ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; ადგილობრივი მოსახლეობისთვის რეფორმით დაგეგმილი სიახლეების გაცნობა; თვითმმართველ ქალაქებში ახალგაზრდული ჯგუფების გააქტიურება;

კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური პროგრამა

კულტურულ – საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება აკადემიური და სოციოლოგიური კვლევების მხარდაჭერა

ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში ახალგაზრდობის ჩართულობის ხელშეწყობა

2014 წელს დაფინანსებულ პროექტთა მოკლე აღწერა:

განხორციელებული პროექტები

2014 წელს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით 56 პროექტი დაფინანსდა. პროექტები განხორციელდა სხვადასხვა პროგრამული პრიორიტეტის შესაბამისად, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. განხორციელებულ პროექტთა შორისაა:

ფესტივალი CinéDOC– თბილისი

CinéDOC–თბილისი პირველი საერთაშორისო დოკუმენტური კინოფესტივალია კავკასიაში, რომლის ფოკუსშია შემოქმედებითი დოკუმენტური ფილმები. 2014 წლის 14-19 ოქტომბერს ფესტივალის მეორე გამოშვება ჩატარდა. 5 დღის მანძილზე მაყურებელი გაეცნო სხვადასხვა ჟანრის დოკუმენტურ ფილმებს, რომლებიც ქართული რეალობისთვის აქტუალურ თემებს შეეხებოდა.

საბოლოოდ ფესტივალმა საქართველოს გარდა ისრაელის, თურქეთის, სომხეთის, რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის, უნგრეთის, პორტუგალიის, ნიდერლანდების, კვიპროსის, ბულგარეთის, კანადის, ბელგიის, გერმანიის, ბრაზილიისა და დანიის 50-მდე დოკუმენტურ ფილმს და მათ ავტორებს უმასპინძლა; ფესტივალი შედგებოდა 3 სექციისგან: საერთაშორისო საკონკურსო პროგრამა; Focus Caucasus; CinéDOC-Young;

CinéDOC–Tbilisi-ის ფესტივალს კინოთეატრები „ამირანი“ და „რუსთაველი“ მასპინძლობდნენ.

ფესტივალს პარტნიორობას მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ფესტივალი IDFA უწევდა; ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდთან ერთად, ფესტივალის

მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო; მერიის კულტურული ღონისძიებების ცენტრი; საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი; დოკუმენტური ფილმების სტუდია; Movies that Matter, გოეთეს ინსტიტუტი.

მე - საქართველოს მოქალაქე

საქართველოს რეგიონებში, მათ შორის მაღალმთიან რეგიონებში არაერთი ნიჭიერი მოზარდი ცხოვრობს, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია ცოტას თუ აქვს. მათ ვერ ვხედავთ მედიაში, მეტიც მედიაში ბავშვები და მოზარდები უმეტესად პრობლემური თემების გაშუქების დროს ჩანან, არც თუ ისე დადებით კონტექსტში.

პროექტი განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ: არტ-ცენტრი. პროექტის მიზანი იყო: საქართველოს რეგიონებში მცხოვრები წარმატებული და ნიჭიერი მოზარდების შესახებ მცირე დოკუმენტური და სატელევიზიო ვიდეორგოლების მომზადება, რომლებიც მოგვიანებით რეგიონული მაუწყებლის ეთერით გადაიკა.

პროექტმა წახალისა მონაწილე ახალგაზრდები, მათ მეტი სტიმული გაუჩინა მომავალი განვითარების საქმეში, ხოლო ფილმების ტელეეთერით გადაცემით და წარმატებული მაგალითების ჩვენებით აქტიურობის მერი მოტივაცია შეუქმნა სხვა ახალგაზრდებსაც.

„ჩვენც შეგვიძლია“

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის „ახალგაზრდები ხელოვნებისთვის“ ორგანიზებით თბილისის 203-ე საჯარო სკოლაში, სადაც 170 სმენადაქვეითებული ბავშვი სწავლობს შეიქმნა შშმ ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი;

პროექტის ფარგლებში ბავშვებს შეასწავლეს ქართული ცეკვები, შეუკერეს საცეკვაო კოსტუმები, შეიძინეს მუსიკალური ტექნიკა. ანსამბლი უკვე მონაწილეობს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებაში;

პროექტის მიზანია: ყრუ-მუნჯი ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა.

მწვანე ვაშლი

პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდული სადისკუსიო სივრცე და, ამავდროულად, ავტორიტეტული, ობიექტური იმიჯის მქონე ბრენდი - „მწვანე ვაშლი“, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს განვითარების, დამატებითი ინფორმაციის მიღების, მათთვის მნიშვნელოვანი და საინტერესო ადამიანების გამოცდილების გაზიარების საშუალებას.

უკვე ჩატარდა არაერთი შეხვედრა საინტერესო თემებზე და საინტერესო ადამიანებთან. პროექტს ბევრი პარტნიორი უნივერსიტეტი ჰყავს, სადაც მწვანე ვაშლის შეხვედრებს უპირობოდ ეთმობა სივრცე.

მწვანე ვაშლის ოფიციალური ვებ-გვერდია: [www. greenapple.ge](http://www.greenapple.ge) - მათთვის, ვინც შეხვედრებს პირადად ვერ ესწრება აქ ინტენსიურად განთავსდება ჩატარებული ღონისძიებების ვიდეო-მასალები.

მწვანე ვაშლის აქტიური გუნდის საქმიანობისთვის თვალის მიდევნება სოციალურ ქსელებშიც შესაძლებელია.

პროექტს ახორციელებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „მარაბდის ახალგაზრდული ასოციაცია“.

ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი

11 ოქტომბერს, ქართული საბრძოლო ხელოვნების ფედერაცია “შავფაროსნების” ორგანიზებით და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, თბილისში „ქართული საბრძოლო ხელოვნებისა და სამოსის ფესტივალი“ გაიმართა.

ფესტივალის ფარგლებში რუსთაველის გამზირზე მასშტაბური მსვლელობა მოეწყო, სადაც "შავფაროსნებთან" ერთად, მონაწილეობა ქართულ ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა დაინტერესებულმა პირებმა და მოწვეულმა სტუმრებმა მიიღეს.

მსვლელობის შემდეგ ღონისძიებები რიყის პარკში გაგრძელდა, სადაც ქართული საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელ წარმოდგენებთან ერთად, ჩატარდა შეჯიბრი მშვილდოსნობაში, ძალის გამოცდაში, გაიმართა სხვადასხვა ტრადიციული თამაშობები, მოეწყო ბაზიერების შოუ.

ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა გამოფენა - ქართველ მეფეთა ხელნაწერები; ასევე წარმოდგენილი იყო ფოტოგამოფენა - „ტაო-კლარჯეთის ციხე-სიმაგრეები“ (ავტორი: ბუბა კუდავა); დუშეთის კულტურის სამსახურის გამოფენა – „ფშავ-ხევსურეთის საბრძოლო ისტორია და სამოსი“,

ქართველმა მჭედლებმა კი ევროპის მოედანზე მაცურებლის თვალწინ გრდემლზე გამოჭედეს იარაღი და მათ მიერ დამზადებული ქართული იარაღიც გამოფინეს.

ფესტივალის დასასრულს გაიმართა დასკვნითი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა, „შავფაროსნებმა“ და ანსამბლმა „ჩვენებურები“ ღონისძიება მოძრაობის თეატრმა ცეცხლოვანი შოუთი დაასრულა.

ფესტივალი, ფონდის მხარდაჭერით უკვე მეორედ გაიმართა. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს ქართული საბრძოლო ხელოვნების პოპულარიზაციას და ფესტივალის ყოველწლიურ ტრადიციად ქცევას.

წიგნი ყველა სოფელს

“წიგნი ყველა სოფელს” - მასშტაბური საგანმანათლებლო პროექტია, რომელიც არასამთავრობო, სახელმწიფო, საქართველოს საპატრიარქოს და კერძო სექტორის ერთიანი ძალისხმევით განხორციელდა. პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია და მისი ინიციატორი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობა“.

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდთან ერთად პროექტის მხარდამჭერები და ორგანიზატორები არიან: „ვისოლ ჯგუფი“, საპატრიარქოს ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანნი“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „პალიტრა L“; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა, „თეგეტა მოტორსი“.

ქველმოქმედი საზოგადოების მხარდაჭერით სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთისა და აჭარის სოფლებისსასკოლო თუ

ცენტრალური ბიბლიოთეკები საჭირო წიგნებით მომარაგდება. შესაბამისად, პროექტი რეგიონალური ცენტრებიდან მოშორებით მდებარე სოფლების მოსახლეობაში წიგნის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

პროექტის მიმდინარეობის მანძილზე ქველმოქმედ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა შეეგროვებინა და გაეჩუქებინა წიგნები მათთვის, ვისთვისაც ისინი ხელმიუწვდომელია.

ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ წიგნების დახარისხების შემდგომ, რეგიონების მოსახლეობისათვის წიგნების მიწოდებაზე „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ ზრუნავდა, რომელმაც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონი მოიარა და ათეულობით ბიბლიოთეკა მოამარაგა საჭირო წიგნებით.

„წიგნი ყველა სოფელს“ გრძელვადიანი პროექტია, წიგნების შეგროვება ისევ გრძელდება, მიღებული ლიტერატურით კი უახლოეს მომავალში სხვადასხვა რეგიონის სასკოლო თუ ცენტრალური ბიბლიოთეკა მომარაგდება.

მკითხველის კონკურსი

არასამთავრობო ორგანიზაციის „ლიტერატურული კლუბის“ ორგანიზებით საქართველოს რამდენიმე რეგიონში კრეატიული კულტურული პროექტი - მკითხველის კონკურსი განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში შეირჩა ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფები ფოთის, მარტვილისა და ზუგდიდის ბიბლიოთეკებში და გამოცხადდა მკითხველის კონკურსი; პროექტში ასევე ჩაერთნენ არასრულწლოვანი პატიმრები. მონაწილეებს დასამუშავებლად გადაეცათ საშუალო სირთულისა და მოცულობის წიგნები. მხატვრული ლიტერატურის დამუშავების შემდეგ შედგა ტესტები, სწორედ ამ ტესტების საფუძველზე გამოვლინდნენ ფინალისტი კონკურსანტები, რომლებიც პროექტის ზეპირ ტურში ჟიურის წევრებმა: დათო ტურაშვილმა, ლევან გიგინეიშვილმა და გიორგი ლობჯანიძემ შეაფასეს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მონაწილეებმა ლიტერატურული სადამოც გამართეს, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური უზრუნველყოფის სამმართველოს მხარდაჭერით განხორციელდა.

წარმატებული მონაწილეები საინტერესო წიგნებით დასაჩუქრდნენ. პროექტმა ხელი შეუწყო მონაწილე ახალგაზრდებში კითხვის პოპულარიზაციას და მათ ინტელექტუალურ განვითარებას.

ეგო-არტი

ეგო-არტი ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაციის მიერ ინიცირებული პროექტია, რომელიც წელს უკვე მეორე გაიმართა. პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი სტიმულირება, შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა. წელს პირველად პროექტში ჩაერთნენ ხელოვანი პატიმრებიც. საბოლოოდ პროექტის მონაწილეთა რაოდენობამ 400-ს გადააჭარბა. ჟიურის წევრებმა მიმა რატიანმა, ნინო სადღობელაშვილმა, პაპუნა გიორგაძემ, დიმიტრი ბახუტაშვილმა, გიორგი ლობჯანიძემ, აკაკი ფხაკაძემ, მზია ლეკვეიშვილმა და ზურა შამათავამ სამ კატეგორიაში პოეზიაში, პროზასა და ფოტოგრაფიაში გამოავლინეს თითოეული რეგიონის სახე და გამარჯვებულები.

ფინალისტები დედაქალაქში, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაჯილდოვდნენ სამახსოვრო საჩუქრებით, გამოიცა მათი შემოქმედების ამსახველი კრებული და მოეწყო კულტურული ტური-ექსკურსია.

ოცნების შვიდი დღე

შემოდგომაზე მოზარდმაყურებელთა თეატრში საინტერესო სანახაობა გაიმართა: მაყურებელმა იხილა სპექტაკლი „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“, სადაც ცნობილი მსახიობების გვერდით ონკოლოგიურად დაავადებულმა ბავშვებმა მიიღეს მონაწილეობა.

თუმცა სპექტაკლის დადგამამდე, 1 კვირის მანძილზე – მომზადების პროცესში, ბავშვებისთვის ჩატარდა სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი ღონისძიება. მათთვის რეალურად შეიქმნა ოცნების 7 დღე, როცა მათი პრობლემები და გასაჭირი ხალისიანმა აქტივობებმა შეცვალა.

გაყიდული ბილეთებიდან შემოსული, ასევე სპონსორებიდან მიღებული შემოწირულობები სრულად მოხმარდება “ბერი ანდრია“-ს ფონდის ონკოლოგიურად დაავადებულ ბავშვებს.

პროექტი ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ალიანსი რეგიონალური განვითარებისთვის“.

ესეების კონკურსი აზერბაიჯანის ქართულ სკოლებში

ახალგაზრდული ორგანიზაციის „ქურმუხელის“ ინიციატივით აზერბაიჯანში მოქმედი ქართული სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით ესეების კონკურსი ჩატარდა. პროექტი ემსახურება აზერბაიჯანში მცხოვრები ეთნიკურად ქართველი მოზარდების აკადემიური წერის კულტურის, ლოგიკური მსჯელობისა და აზროვნების განვითარების, მოვლენებისა და ფაქტების დაკავშირების უნარის გამომუშავებას, ისტორიის, გეოგრაფიის, მეცნიერების, ხელოვნების, ხალხთა შორის მეგობრობის და სხვა აქტუალური თემებით დაინტერესებას.

შემოსული ნამუშევრების გასწორების შემდეგ, თითოეულ სკოლაში გამოვლინდა სამ-სამი გამარჯვებული. წარმატებული მონაწილეები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორმა ირაკლი ჟორჟოლიანმა, დირექტორის მოადგილემ მურმან პატარაიამ და ორგანიზაცია „ქურმუხელის“ ხელმძღვანელმა ირაკლი სარდალაშვილმა წიგნებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

მშვიდობის ფესტივალი

მშვიდობის ფესტივალი განხორციელდა „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი - საქართველოს“ მიერ, სხვადასხვა პარტნიორ ორგანიზაციასა და უწყებასთან ერთად.

პროექტი მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მომზადდა და მისი მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნებისა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა თანამშრომლობის ხელშეწყობა;

პროექტი „მშვიდობის მატარებელი“ ითვალისწინებდა მონაწილე ხელოვანთა რამდენიმე დღიანი მსვლელობის, მასობრივი კონცერტებისა და წარმოდგენების ორგანიზებას გორში, სამტრედიისში, ბათუმსა და ქობულეთში.

საბოლოოდ „მშვიდობის მატარებლის“ ბოლო გაჩერება ქობულეთი იყო, სადაც ხუთდღიანი „მშვიდობის ბანაკი,, გაიმართა. ბანაკის მონაწილე ახალგაზრდებმა შეიმუშავეს რეგიონალური სამშვიდობო პლატფორმა;

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ხოვლეში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში ადგილობრივი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის „პაიდეიას“ ინიციატივით განახლდა კულტურული ცენტრი; აღიჭურვა სათანადო ინვენტარით; დაიგეგმა საინტერესო აქტივობები; ჩამოყალიბდა სპორტული გუნდები და ჩატარდა სპორტული შეჯიბრებებიც.

რაც მთავარია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის ბაზაზე გაიხსნა მედიათეკა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ახალი ბიბლიოთეკით. ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გაჩნდა თავშეყრის ადგილი, სადაც მომავალშიც ბევრი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმება

სტაბილური კონსტიტუცია - ახალგაზრდული არჩევანი

პროექტი საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაციის ინიციატივით საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განხორციელდა. პროექტის მთავარი მიზანი იყო: ახალგაზრდების ჩართვა ქვეყანაში მიმდინარე კონსტიტუციურ რეფორმაში; მათი ცნობიერების ამაღლება კონსტიტუციონალიზმის არსთან დაკავშირებით. საქართველოს 9 რეგიონში 500-მდე ბენეფიციარისთვის კონსტიტუციონალიზმის ძირეულ საკითხებზე ორდღიანი ტრენინგ-სემინარები გაიმართა, პროექტის მონაწილეები სიმბოლურად კონსტიტუციებით დასაჩუქრდნენ. პროექტის ბოლოს ყველაზე აქტიურმა ახალგაზრდებმა საკონსტიტუციო კომისიის წევრებთან და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს მრგვალ მაგიდის ფორმატის შეხვედრაში სადაც ხელი მოაწერეს კონსტიტუციურ ცვლილებებზე ახალგაზრდული ხედვის მადეკლარირებულ პეტიციას.

პროექტის შედეგად შეიქმნა დაინტერესებული ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ინტერრეგიონალური საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სამომავლოდ მოამზადებს წინადადებებს ძირითადი კანონის სრულყოფასთან დაკავშირებით და ჩაერთვება კონსტიტუციურ პროცესებში.

შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციაზე მიმართული მედია-კამპანია

„ახალგაზრდების ინტეგრაციის, განათლების და კულტურული განვითარების ასოციაციამ“ პროექტის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების ინტეგრაციაზე მიმართული ინოვაციური და კრეატიული ადვოკატირების კამპანია წამოიწყო. 3 თვის განმავლობაში შეიქმნა 12 მინი კლიპი, სადაც მოცემულია ინფორმაცია მსოფლიო ისტორიაში, სხვადასხვა დროსა და გარემოში მოღვაწე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ცნობილ ადამიანებზე, რომლებმაც შეცვალეს ისტორია (ლეონარდო და ვინჩი, ალბერტ აინშტეინი, აბრამ ლინკოლნი და სხვა). ვიდეო-რგოლები გავრცელდა არტარეა TV-ის, საკაბელო ტელევიზიის, ინტერნეტ ტელევიზიის და სოციალური მედიის საშუალებით.

პროექტი ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიმართ საზოგადოებაში არსებული დისკრიმინაციული დამოკიდებულებისა და სტიგმის შემცირებას, მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ამავდროულად, საზოგადოების ინფორმირებას, ცნობიერების ამაღლებას და აღნიშნული პრობლემის მოგვარების კუთხით ჩართულობის გაზრდას.

სასულიერო ლიტერატურა უსინათლოთათვის

საქართველოს უსინათლო ქალთა და ბავშვთა ასოციაციამ ფონდის მხარდაჭერით 2013-2014 წლებში ორი პროექტი განახორციელა, რომელთა ფარგლებშიც ბრაილის შრიფტით გამოსცა სასულიერო ლიტერატურა და სკოლის აღსაზრდელებს უსასყიდლოდ გადასცა. პროექტების მიზანია უსინათლო და სუსტადმხედველი ახალგაზრდებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა, მათი დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა, განათლებისა და განვითარების ხელშეწყობა.

გამოცემული ლიტერატურით ამ ეტაპზე სარგებლობს 100-ზე მეტი უსინათლო ახალგაზრდა. სულ დაიბეჭდა 63 000 ბრაილის გვერდი.

ქართველ და აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა შეხვედრა სამინისტროში

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით და „აზერბაიჯანელთა კულტურის ცენტრის“ ორგანიზებით ზაფხულში, გაცნობითი ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა დელეგაცია ეწვია; ვიზიტის დროს მოეწყო რამდენიმე სასწავლო ტური საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ასევე შედგა შეხვედრები საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, მათ შორის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრთან, ლევან ყიფიანთან.

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები გაცნობისა და ერთობლივი ინიციატივების დაგეგმვის მიზნით სამუშაო ფორმატში შეხვდნენ საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციას და რეგიონებში მომუშავე ქართველ ჟურნალისტებს.

პროექტის მთავარი მიზანი იყო მეზობელი ქვეყნის მედიის წარმომადგენლებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს შესახებ, პროექტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია ჟურნალისტებმა სხვადასხვა აზერბაიჯანული მედია-საშუალებით გაავრცელეს. მსგავსი აქტივობები ხელს შეუწყობს ინსტიტუციურ თუ საზოგადოებრივ თანამშრომლობას და ერთობლივი პროგრამების განხორციელებას, როგორც ახალგაზრდულ, ისე სხვა სფეროებში;

კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი ხოვლეში

კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეში ადგილობრივი ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის „პაიდეას“ ინიციატივით განახლდა კულტურული ცენტრი; აღიჭურვა სათანადო ინვენტარით; დაიგეგმა საინტერესო აქტივობები; ჩამოყალიბდა სპორტული გუნდები და ჩატარდა სპორტული შეჯიბრებებიც.

რაც მთავარია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის მუზეუმის ბაზაზე გაიხსნა მედიათეკა, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით, ახალი ბიბლიოთეკით. ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გაჩნდა თავშეყრის ადგილი, სადაც მომავალშიც ბევრი საინტერესო ღონისძიება დაიგეგმება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მოქმედებაში

პროექტის მთავარი მიზანი იყო შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტერგრაციისა და მათი განვითარების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში აჭარის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებმა 1 სამუშაო დღე გაატარეს. ჩაერთნენ სამუშაო პროცესში, მიიღეს გამოცდილება, გაიგეს ამა თუ იმ უწყების ფუნქციონირების სპეციფიკა.

პროექტის შედეგად, ერთ-ერთი მონაწილე შორენა მამულაძე, რომელმაც 1 დღით მერის პოსტი დაიკავა, მოგვიანებით რეალურად დასაქმდა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებში ბათუმის მერის მრჩეველად დაინიშნა. პროექტი განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდა მოქალაქე“.

ახალგაზრდული საინფორმაციო სივრცე - www.cspinfo.ge

არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესული კომუნიკაციების ასოციაცია 2014 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით ახორციელებდა პროექტს: „სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდულ ვებგვერდ „www.cspinfo.ge“, სადაც ინტენსიურად ხდება აქტუალური ახალგაზრდული საკითხების გაშუქება, სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად ასახვა, ახალგაზრდების სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართვა, მათთვის პრობლემატური საკითხების განხილვა, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინტერესო თემების მოძიება, ახალგაზრდების წახალისება, სამომავლო გზებისა და პერსპექტივების დიებაში დახმარება.

ლენტეხის ხეივანი

9 მაისს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური და სპორტულ-კულტურული ღონისძიებები მოეწყო, რომელსაც ორგანიზებას ადგილობრივმა მოსახლეობამ და ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „რეგიონული განვითარების ახალგაზრდული ფონდის“ წარმომადგენლებმა გაუწიეს.

ლენტეხში აქტუალურია ეკოლოგიური პრობლემები, რაიონში დაბალია ხეების განაშენიანების დონე და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საკითხში იშვიათია ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდების ინიციატივით მოეწყო მასშტაბური აქცია, რომლის ფარგლებშიც დაბა ლენტეხში გაშენდა 3 კილომეტრიანი ნაძვნარის ხეივანი, სწორედ იმ ადგილზე სადაც წლების წინ არსებული ქარსაფარი ზოლი მოვარდნილმა მეწყერმა გაანადგურა. გაიწმინდა მეწყერის შედეგად დაგროვებული შლამი და ნაგავი;

ახალგაზრდული საინფორმაციო სივრცე - www.cspinfo.ge

არასამთავრობო ორგანიზაცია პროგრესული კომუნიკაციების ასოციაცია 2014 წლის ივნისიდან ნოემბრის ჩათვლით ახორციელებდა პროექტს: „სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ახალგაზრდულ ვებგვერდ „www.cspinfo.ge“, სადაც ინტენსიურად ხდება აქტუალური ახალგაზრდული საკითხების გაშუქება, სხვადასხვა სფეროში მიმდინარე მოვლენების ობიექტურად ასახვა, ახალგაზრდების სამოქალაქო ცხოვრებაში აქტიური ჩართვა, მათთვის პრობლემატური საკითხების განხილვა, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, საინტერესო თემების მოძიება, ახალგაზრდების წახალისება, სამომავლო გზებისა და პერსპექტივების მიებაში დახმარება.

საერთაშორისო კონფერენციები, ფორუმები, კონკურსები

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ხელს უწყობს საერთაშორისო აკადემიური და შემეცნებითი პროექტების ორგანიზებას ქართველი ახალგაზრდების განვითარებისა და საერთაშორისო საზოგადოებაში ახალი კავშირების დამყარების მიზნით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ფორუმი

საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს ახალგაზრდული კავშირის ორგანიზებით 18-19 ნოემბერს, თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის ახალგაზრდული ფორუმი ჩატარდა.

პროექტის მთავარი მიზანი იყო - ახალგაზრდობის ხმის გაძლიერება რეგიონში, მათ წინაშე არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე რეაგირება.

პროექტში ჩართული იყო როგორც ქართველი, ასევე უცხოელი 40-მდე ახალგაზრდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან, ასევე ექსპერტები, ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

შემუშავდა ევროპული პოლიტიკის ფორმირების პროცესში ახალგაზრდების ფართო ჩართულობის ხელშეწყობაზე, ასევე რეგიონულ და ევროპულ დონეებზე ახალგაზრდული პოლიტიკის სრულყოფაზე ორიენტირებული კონკრეტული ხედვები; აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ახალგაზრდული ქვეჯგუფის პრიორიტეტული მიმართულებები.

UNITED-ის საერთაშორისო კონფერენცია საქართველოში

13-18 ოქტომბერს ბაკურიანში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის „ტოლერანტობის სამყაროს“ ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. UNITED წარმოადგენს ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების თვალსაზრისით ევროპის ყველაზე დიდ პლატფორმას, რომელიც აერთიანებს 46 ქვეყნის 560 ორგანიზაციას. კონფერენციის მიზანი იყო დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობა, უმცირესობების უფლებების დაცვა და ადვოკატირება.

კონფერენციის ძირითადი თემატიკა იყო: ახალი დემოკრატიის ქვეყნებში უმცირესობების უფლებების დაცვა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; ასევე ნაციონალურ და ევროპულ დონეზე ტოლერანტობისა და

მრავალფეროვნების განმტკიცების; ევროპის მასშტაბით რასისტული, დისკრიმინაციული და სიძულვილზე დაფუძნებული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლის; სამოქალაქო ორგანიზაციების შესაძლებლობების ამაღლების, ლობირებისა და ადვოკატირების კამპანიების ხელშეწყობა; **UNITED-ის** წევრ ორგანიზაციებს შორის კავშირის გამყარება; საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის კულტურული მრავალფეროვნების გაცნობა; კონფერენციის ფარგლებში 30 ქვეყნის 70 ახალგაზრდა ლიდერს საშუალება მიეცა გასცნობოდნენ ქვეყნის ხედვას უმცირესობების უფლებების დაცვის, ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობისა და განვითარების საკითხების შესახებ.

სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია: სამხრეთ კავკასიის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივები

25 ოქტომბერს, საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის ცენტრის ორგანიზებით საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი ეტაპი გაიმართა.

კონფერენციის მთავარი მიზნები იყო: საქართველოსა და სამხრეთკავკასიის რეგიონის ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების განხილვა და მომავალი შესაძლებლობების შეფასება; სტუდენტების სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა; ევროინტეგრაციულ პერსპექტივებთან დაკავშირებით ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება. კონფერენცია ოთხ სექციად ჩატარდა:

თანამედროვე ევროპული სახელმწიფოს მშენებლობა;

ბიზნესში ნოვატორული ეკონომიკური, მმართველობითი და მარკეტინგული მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება;

კანონდებლობის ჰარმონიზაციის საკითხები ევროკავშირის მოთხოვნებთან;

თანამედროვე ტექნოლოგიები და ინოვაციური პოტენციალის ზრდა.

პროექტში ჩართულნი იყვნენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტები; პროექტის მხარდამჭერი, სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდთან ერთად, იყო კავკასიის უნივერსიტეტი და ფრიდრიხ ებერტის ფონდი;

საერთაშორისო კონკურსი „ალიანტე 2014“

„ალიანტე“ 15-დან 19 წლამდე ასაკის ახალგაზრდებისგან შემდგარი 2-წევრიანი გუნდების საერთაშორისო კონკურსია, რომელიც განკუთვნილია სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის. პროექტის მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლება უსაფრთხოების საკითხების, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, კონკურსი ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. „ალიანტე“ უკვე 13 წელია ტარდება, საქართველო კონკურსს 2008 წელს შეუერთდა და მასში ყოველწლიურად ათასობით ქართველი ახალგაზრდა მონაწილეობს, კონკურსის ისტორიის 10 წლის მანძილზე 2010 წელს პირველად გაიმართა საერთაშორისო ფინალი ნატოს არაწევრ ქვეყანაში, საქართველოში, კერძოდ, საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში.

საქართველოში საერთაშორისო კონკურს „ალიანტეს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა ნაციონალური საბჭო“ ახორციელებს. პროექტის მხარდამჭერები ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდთან ერთად არიან: საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ; პროექტის საერთაშორისო მხარდამჭერები არიან: ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სლოვაკეთისა და გერმანიის თავდაცვის სამინისტროები, ჩრდილოეთ ატლანტიკური ალიანსის საზოგადოებრივი დიპლომატიური განყოფილება.

საერთაშორისო კონკურსის „ალიანტეს“ დასკვნითი ფინალი სლოვაკეთში, ლეშტის სამხედრო ბაზაზე გაიმართა, სადაც ერთმანეთს 9 ქვეყნის 15 გუნდი დაუპირისპირდა (გუნდი არის საერთაშორისო შემადგენლობის და მასში შედის 2 სხვადასხვა ქვეყნის მონაწილე. კონკურსის მონაწილეები 4 დღის განმავლობაში ერთმანეთს ფიზიკურ გამძლეობაში, სხვადასხვა სახის სირთულეების გადალახვასა და ინტელექტუალურ ტესტებში შეეჯიბრნენ.

4 დღიანი მძიმე კონკურენციის შემდეგ ლეშტის სამხედრო ბაზაზე კონკურსის ოფიციალური დახურვის ცერემონიალი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა სლოვაკეთის სამხედრო პირებმა და თავდაცვის მინისტრმა მიიღო. გამოვლინდა 6 გამარჯვებული გუნდი, მათ შორის, პირველად ალიანტეს

ისტორიის მანძილზე 4 ქართული გუნდი გახდა პირველი ადგილების მფლობელი. 17 აგვისტოს კი გამარჯვებული ახალგაზრდები სასწავლო ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრნენ, სადაც მოინახულეს NATO-ს სამხედრო ბაზები და შეხვდნენ პოლიტიკურ ლიდერებს.

სოციალური მეწარმეობა

სოციალური მეწარმეობა გულისხმობს მეწარმეობის პრინციპებით მოქმედებას, რომელსაც გააჩნია სოციალური მისია და არ ემსახურება ბიზნეს-ინტერესებს. სოციალური მეწარმეობის ფარგლებში განხორციელებული პროექტი არ უნდა იყოს ერთჯერადი, პირიქით, მიღებული დაფინანსებით უნდა დაიწყოს მისი ფუნქციონირება, უნდა მოიტანოს ფინანსური მოგება, მაგრამ არა რომელიმე ორგანიზაციის ან ფიზიკური პირის სასარგებლოდ, არამედ, რაღაც კონკრეტული სოციალური მიზნით. ცხადია, უნდა უზრუნველყოს დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურებაც.

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი გახლავთ ერთადერთი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც ხელს უწყობს სოციალური მეწარმეობის განვითარებას საქართველოში და ამ მიმართულებით აფინანსებს ახალგაზრდულ პროექტებს.

2013 წელს უკვე დაფინანსდა რამდენიმე სოციალური საწარმო: მათ შორის „დავითიანის“ სკოლა-სახელოსნო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისთვის, მარაბდის ინტენსიური ბაღები და კალიგრაფიის სოციალური სახელოსნოები თბილისსა და სვანეთში.

სოციალური მეწარმეობის კუთხით განხორციელებულ საქმიანობაში ჩვენი მხარდამჭერია ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, რომელმაც აღნიშნული მიმართულებით ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, უზრუნველყო საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარება სოციალური მეწარმეობის საკითხებზე.

2014 წელს სოციალური მეწარმეობა ისევ გახდა ფონდის პროგრამული პრიორიტეტი და დაფინანსდა პროექტები. თუმცა ამის პარალელურად, ფონდმა დაიწყო დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაც. კერძოდ:

სამუშაო შეხვედრა სოციალურ მეწარმეებთან

23 ივლისს, რუსთავის სკაუტურ ცენტრში ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ორგანიზებით სოციალური მეწარმეობის საკითხებზე შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სოციალური მეწარმეობის მიმართულებით დაფინანსებული პროექტებისა და ასევე იმ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომელთა საქმიანობაც მომავალში, შესაძლოა, სოციალური მეწარმეობის სპეციფიკით წარიმართოს.

ღონისძიებაზე ასევე მოწვეულნი იყვნენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ფონდის ბენეფიციარების ერთმანეთთან დაკავშირება და გაცნობა, ინფორმაციის გაცვლა, ასევე გამოცდილების გაზიარება, სამომავლოდ თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა.

თითოეული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა გააკეთა მცირე მოხსენება თავისივე პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების, ასევე პრობლემებისა თუ სამომავლო გეგმების შესახებ.

შეხვედრის ბოლოს, ღონისძიების მონაწილეები თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებულ ერთ-ერთ წარმატებულ საწარმოს ეწვივნენ, სადაც ფონდის ბენეფიციარებმა საწარმოს გამოცდილება გაიზიარეს და ადგილზე მოწყობილი თევზსაშენიც დაათვალიერეს.

საინფორმაციო კამპანია

რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის მხარდაჭერით ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა მოამზადა სატელევიზიო ვიდეო-რგოლები, სადაც

წარმოდგენილია სოციალური მეწარმეობის იდეის, განხორციელებული პროექტებისა და დაგეგმილი პროგრამების შესახებ ინფორმაცია.

ვიდეო-რგოლები რამდენიმე თვის განმავლობაში გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, განთავსდა ფონდის სოციალურ ქსელებსა და ვებ-გვერდზე.

სამუშაო ვიზიტი ლატვიაში სოციალური მეწარმეობის საკითხებზე

16-19 ივნისს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის წარმომადგენელი მათე გაბიციანაშვილი სოციალური მეწარმეობის საკითხებზე სხვა საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ვიზიტით იმყოფებოდა ლატვიაში. გაცნობითი ვიზიტი მიზნად ისახავდა სოციალური მეწარმეობის კუთხით არსებული გამოცდილების გაცნობას, რომლის ფარგლებშიც შედგა შეხვედრები სხვადასხვა საკითხზე მომუშავე სოციალურ საწარმოებში, ქალაქ რიგის მერიასა და ქალაქ ცესისის მერთან. აგრეთვე გაიმართა შეხვედრები იმ ორგანიზაციებისა და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალური მეწარმეობის განვითარების პროცესში.

დაფინანსებული პროექტები:

საერთაშორისო ეკონომიკური საზაფხულო სკოლა – „მეწარმეობა განვითარებად ქვეყნებში“

5 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ოფიციალურად დაიხურა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია „ოიკოს თბილისი“ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ახორციელებდა. საზაფხულო სკოლა 10 დღე მიმდინარეობდა და მასში 17 უცხოელი და 6 ქართველი სტუდენტი იყო ჩართული. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ფონდმა მხარი დაუჭირა არა კონკრეტული საწარმოს დაფუძნებას, არამედ სოციალური მეწარმეობის იდეის აკადემიურ კვლევასა და შესწავლას.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა სახის აქტივობები: ლექციები. და ტრენინგები სოციალური მეწარმეობის საკითხებზე, შედგა ფოკუს-ჯგუფები ქართველ სოციალურ მეწარმეებთან, ჩატარდა საველე სამუშაოები, ასევე საჯარო დისკუსიები აკადემიური, სამთავრობო, პრესის, დიპლომატიური კორპუსის, სტუდენტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით; პროექტი

მნიშვნელოვანი იყო სოციალური მეწარმეობის იდეის აკადემიური მიმართულებით განხილვის კუთხით.

საბოლოოდ შედგა პროგრამის შედეგების პრეზენტაცია. საზაფხულო სკოლის მონაწილეები სამახსოვრო საჩუქრებითა და სიგელებით დააჯილდოვდნენ.

სნოს ხეობის გამოყენებითი ხელოვნების ახალგაზრდული ცენტრი

არასამთავრობო ორგანიზაციამ „გლობალური თანადგომა“ სნოში სოციალური სახელოსნო მოაწყო.

ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით საჭირო ინვენტარით აღიჭურვა საწარმოს დარბაზი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები დაინტერესებულ ახალგაზრდებს ასწავლიდნენ ხეზე ჭრისა და ქვის მხატვრული დამუშავების ტექნიკას. მეცადინეობები და პრაქტიკული სამუშაოები 6 თვის მანძილზე ინტენსიურად მიმდინარეობდა.

სახელოსნოში უკვე დამზადებულია ქვისა და ხის დეკორატიული ნიმუშები, რომლებიც პირველ ეტაპზე სხვადასხვა სივრცეში გამოიფინება, სამომავლოდ კი იგეგმება მათი რეალიზაციაც.

სობისური - სოციალური საწარმო სოფელ სობისში

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ სობისში ააიპ „ეთიკვინანსის“ ორგანიზებით და ადგილობრივი ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით ვაშლის ნატურალური წვენი დაამზადებელი სოციალური საწარმო განახლდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა პროდუქტის დასამზადებლად განკუთვნილი შენობის რემონტი. ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგები. შემოდგომაზე საწარმომ ახალი ძალით დაიწყო პროდუქციის წარმოება. საწარმოს ფარგლებში 10-მდე ახალგაზრდა დასაქმებული. პროექტი ხელს უწყობს ადგილობრივ დონეზე მიღებული პროდუქტის - ვაშლის რეალიზაციას, ახალგაზრდების განვითარებას, ახალი უნარების შეძენას და მათ დასაქმებას. განახლებული ეტიკეტითა და პროდუქტით წვენი „სობისური“ უკვე ვრცელდება ქართულ ბაზარზე.

სოციალური საწარმო „დავათური“

დუმეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დავათში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის „დავათურის“ ინიციატივით სოციალური საწარმო ამოქმედდა, სადაც ტრადიციული ქართული მეთოდით ხდება დანების დამზადება და მოვარაყება. სოციალური საწარმოში ადგილობრივი ახალგაზრდები გამოცდილი ოსტატებისგან ეუფლებიან ხელობას და უნიკალურ სუვენირებს ამზადებენ, რომლებიც ძალიან მალე ქართულ სასუვენერო ბაზარზე საკუთარ ნიშას დაიკავენ. პროექტში ჩართულია 5 ახალგაზრდა. პროექტი ხელს უწყობს ტრადიციული ქართული სამჭედლო კულტურის შენარჩუნებას და ახალგაზრდების დასაქმებას.

სოციალური სახელოსნო რუსთავში

პროექტი რუსთავის სკაუტურ ცენტრთან ერთად ახალგაზრდობის ჩართულობის განვითარებისა და განათლების ასოციაციამ განახორციელა. პროექტის ფარგლებში ქალაქ რუსთავის მასშტაბით არსებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში გადაზრდილი ასაკის (18 წლის შემდგომ) ახალგაზრდებმა მიიღეს პროფესიული განათლება, შეისწავლეს ოქრომჭედლობა და სხვა ხელსაქმე, რამაც ხელი შეუწყო მათ ადაპტაციას არსებულ რეალობასთან. მათ მიერ შექმნილი პროდუქციის რეალიზებიდან შემოსული თანხები მოხმარდება პროექტის მდგრადობის უზრუნველყოფას.

პროექტის ფარგლებში 3 თვის მანძილზე მიმდინარეობდა ინტენსიური სასწავლო კურსი და მასში 20-მდე ახალგაზრდა იყო ჩართული.

სამომავლო გეგმები

სოციალური მეწარმეობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრები ახალგაზრდა მეწარმეებთან მომავალშიც გაგრძელდება. სამომავლოდ ფონდი სოციალური მეწარმეობის კუთხით კიდევ დააფინანსებს ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, ამავდროულად, ხელს შეუწყობს არსებული საწარმოების განვითარებას და სოციალური მეწარმეობის იდეის პოპულარიზებას საზოგადოებაში.

სპორტის განვითარების ხელშეწყობა

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ახალგაზრდობაში სპორტული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია. ამ მიზნით 2014 წელს სპორტის სხვადასხვა სახეობაში არაერთი პროექტი განხორციელდა, რომელმაც მოიცვა საქართველოს რეგიონები;

ბოლდერინგის ალპინიადა ყაზბეგში

ყაზბეგის ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, 16-17 ივლისს ყაზბეგში ბოლდერინგის ორდღიანი ალპინიადა მოეწყო, რომელშიც ადგილობრივი ახალგაზრდები, ექსტრემალები, დაინტერესებული ტურისტები და მედიის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი.

ყაზბეგს ტურიზმის, განსაკუთრებით კი – ექსტრემალური ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია. ექსტრემალური ტურიზმის გავრცელებული ფორმაა ბოლდერინგი, რაც კლდეზე ცოცვის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

პროექტის მთავარი მიზანია ბოლდერინგის პოპულარიზაცია და განვითარება ყაზბეგში.

ახალგაზრდული საჯომარდო ბანაკი ბორჯომში

6 ივნისს, ბორჯომის რეგიონში საზაფხულო ახალგაზრდული საჯომარდო ბანაკის “ჯომარდიას” პრეზენტაცია გაიმართა, პროექტი ააიპ „სტუდლაიფმა“ საქართველოს ჯომარდობის ეროვნულ ფედერაციასთან პარტნიორობით განახორციელა. პროექტის ფარგლებში ადგილობრივმა ახალგაზრდებმა გაიარეს პრაქტიკული კურსები ჯომარდობასა და სანიჩბოსნო სლალომში. რაც ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას, პოტენციური ნიჩბოსნების სელექციას, რის საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი შესაძლებლობების სწორი კუთხით რეალიზებას.

პროექტში წარმატებული ახალგაზრდები მომავალი წლიდან უკვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დასაქმდებიან საჯომარდო ბანაკების განვითარებაში.

მეკლდეურობა ნიქოზში

ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად საზღვრისპირა რეგიონებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ „გზა მშვიდობისკენ“ სოფელ ნიქოზში სპორტული პროექტი განახორციელა.

ნიქოზის წმიდა ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის სკოლის ეზოში დამონტაჟდა ხელოვნური საცოცი კედელი; მონტაჟი განხორციელდა მეკლდეურთა ფედერაციის ექსპერტების მეთვალყურეობით. კონფლიქტურ ზონაში ნიქოზის თემის 3 სოფლის 100-მდე ოჯახი ცხოვრობს, შესაბამისად, სპორტულ ვარჯიშში მუდმივადაა ჩართული 60 ახალგაზრდა;

პროექტის მთავარი მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;

ჭადრაკის ტურნირი იმერეთში

არასამთავრობო ორგანიზაციამ „იმერის ვარსკვლავი“ იმერეთის რეგიონში, სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ახალგაზრდული საჭადრაკო ტურნირი ჩაატარა. მონაწილეებს თავდაპირველად ჩაუტარდათ ლექცია-სემინარები საქართველოში ჭადრაკის განვითარების ისტორიის, ცნობილი ქართველი მოჭადრაკეების მიღწევების შესახებ. შემდეგ კი იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტში ჩატარდა საჭადრაკო ტურნირები.

პროექტის მიზანია ახალგაზრდებში ჭადრაკის პოპულარიზაცია, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, კომუნიკაციის ხელშეწყობა - მათი გაცნობა და დამეგობრება, საჭადრაკო კლუბების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

პროექტში მონაწილეობა მიიღო 1000-ზე მეტმა მოსწავლე-ახალგაზრდამ, რომელთაგან 160 გამარჯვებული სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში დაჯილდოვდა სამსახსოვრო საჩუქრებით.

პროექტის მთავარი დევიზია; „მეტი მოაზროვნე ახალგაზრდა საზოგადოებაში“.

საფეხბურთო ჩემპიონატები და ფესტივალები

უკვე მეორე წელია ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი ხელს უწყობს მესხეთის საერთაშორისო საფეხბურთო ფესტივალისა და მარტვილის რეგიონული საფეხბურთო ფესტივალის ჩატარებას. აღნიშნულ ღონისძიებებს ორგანიზებას უწევენ: ააიპ „ჯანსაღი თაობა“ და ახალგაზრდული გაერთიანება „მარტვილი“.

ჩემპიონატები მასობრივი სპორტული ღონისძიებების ჩატარების საუკეთესო მაგალითებია, მასში ათეულობით გუნდი და რამდენიმე ასეული ახალგაზრდა სპორტსმენია ჩართული. ჩემპიონატებს თან ახლავს კულტურული პროგრამებიც. სპორტულ აქტივობებში ჩართულია გოგონათა გუნდებიც.

მესხეთისა და მარტვილის ფესტივალები უკვე იქცა ტრადიციულ და წარმატებულ სპორტულ ღონისძიებებად აღნიშნულ რეგიონებში და ყოველწლიურად კიდევ უფრო მეტ მასშტაბებს იძენს.

მარტვილისა და მესხეთის მსგავსად სპორტული ფესტივალები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების - ზესტაფონის განვითარებისა და აღორძინების ფონდისა და დევნილთა ახალგაზრდული მოძრაობის ორგანიზებით ჩატარდა სამტრედიის, ზესტაფონისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში. ამ უკანასკნელში სპორტული ღონისძიებები კოდის დევნილთა დასახლებაში განხორციელდა. სამტრედიაში კი ფეხბურთთან ერთად ტურნირები მოეწყო ნარდსა და კალათბურთშიც. შეჯიბრებებში 50-მდე ადგილობრივი გუნდი იყო ჩართული.

საფეხბურთო მინი-ფესტივალი თბილისშიც გაიმართა. ტურნირები სპეციალურად მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა მონაწილეობით მოეწყო. პროექტი განახორციელა არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალგაზრდული მოძრაობა ჯანსაღი და ნათელი მომავლისთვის“. ტურნირების ბოლოს მონაწილეები სპორტული ინვენტარით დაჯილდოვდნენ.

2014 წელს განხორციელებული დამოუკიდებელი ინიციატივები

2014 წლის განმავლობაში ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი პროექტების მხარდაჭერასთან ერთად ფონდი თავადაც იყო ცალკეული ღონისძიების ინიციატორი ან მონაწილე.

რიჩარდ ნორლანდისა და ქენდლის ქემბლის ვიზიტი

20 თებერვალს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ორგანიზებით, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ ნორლანდი, აშშ-ს საელჩოს კულტურის ატაშე ჯეიმს დიუ და აშშ-ს პარაოლიმპიური ჩემპიონი ქენდლის ქემბლი.

ქენდლის ქემბლი აშშ-ის საელჩოს მოწვევით ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. მას ხუთ საზაფხულო პარაოლიმპიურ თამაშში ცხრა ოქროს მედალი და ზამთრის პარაოლიმპიურ თამაშებში სამი მედალი აქვს მოპოვებული. ის ცნობილი ათლეტი და შეზღუდული შესაძლებლობის პირთა უფლებების აქტიური დამცველია. პარაოლიმპიური თამაშები ოლიმპიური თამაშების დასრულებისთანავე, ოლიმპიადის მასპინძელ იმავე ქალაქში ტარდება.

ლონისძიებაზე ქენდის ქემბლმა ახალგაზრდებისთვის ჩაატარა ლექცია-სემინარი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ადვოკატირების თემაზე და მათი სპორტში ჩართვის მნიშვნელობაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის საელჩოს გაცვლითი პროგრამების მონაწილეები, ახალგაზრდა სპორტსმენები და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

დედამიწის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება

1 მაისს, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კუთვნილ ტერიტორიაზე დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი გამწვანების აქცია გაიმართა. ღონისძიებაზე სამინისტროს, ფონდისა და სასახლის წარმომადგენლებმა ამერიკის მშვიდობის კორპუსის მოხალისეებმა ერთად დარგეს ხეები და სასახლის ბაღში ერთ პატარა მონაკვეთზე სკვერი გააშენეს.

ევროპის კვირეული

მაისში ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდმა, ევროპის კვირეულის ფარგლებში მასშტაბური ღონისძიებები გამართა. კვირეულის მხარდამჭერები იყვნენ: საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი;

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში გაშენდა დიპლომატიური ხეივანი საქართველოში აკრედიტებული ევროპის ქვეყნების სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენელთა მონაწილეობით; საზეიმოდ გაიხსნა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო კუთხე, შედგა საგანმანათლებლო პროექტის – ადამიანის უფლებების შესახებ გამოცემული ევროპული სახელმძღვანელოს „კომპასის“ პრეზენტაცია.

მოგვიანებით კვირეული რეგიონებში, კერძოდ, იმერეთსა და აჭარაში გაგრძელდა.

იმერეთში ღონისძიებების ორგანიზატორი გახლდათ ქალაქ ქუთაისის მერიის კულტურის, განათლების და ძეგლთა დაცვის სამსახური. აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სამკითხველო დარბაზში განახლდა საინფორმაციო კუთხე ნატოსა და ევროკავშირის შესახებ; ცენტრალურ მოედანზე გაიხსნა გამოფენა “ევროპელების თვალთ დანახული საქართველო“; ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ევროპის კუთხე; გამოვლიდნენ ესეების კონკურსის “რატომ ევროპა?” გამარჯვებულები;

კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიებები აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა. ბათუმში „ევროპული დღეების“ ფარგლებში დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება გაიმართა; საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო კუთხე; 6 მაისის პარკში მოეწყო მარათონი; მოგვიანებით კი მოეწყო ევროკავშირის სიმბოლიკით დამზადებული თვითნაკეთი გემების სომბოლური გაშვება ნურიგელის ტბაში

პროექტის შედეგად მოხდა ევროპული ღირებულებების, ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სტუდენტებსა და ახალგაზრდებში; მომზადდა საინფორმაციო ვიდეო-რგოლებიც, რომლებიც საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გადაიცა.

ველოგარბენი „იხვოვრე სპორტით“

13 ივლისს, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის, ახალგაზრდული ასოციაციის „დრონისა“ და ველოსპორტის ეროვნული ფედერაციისა ორგანიზებით მასშტაბური ველომარათონი გაიმართა.

ველომარათონში სამინისტროსა და სხვა ორგანიზატორთა წარმომადგენლებთან ერთად ევროკავშირის ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში საქართველოში მყოფმა უცხოელმა მოხალისეებმაც მიიღეს მონაწილეობა.

პროექტის მიზანი იყო ჯანსაღი წესის დანერგვა და საქართველოში ველოსიპედის, როგორც ტრანსპორტის საშუალების პოპულარიზაცია.

ძლიერთა თამაშები

19 ივლისს, თავდაცვის სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ დარბაზში „ორბი“ დაჭრილი ქართველი სამხედრო მოსამსახურეებითა და ცნობილი ადამიანებით

დაკომპლექტებულ გუნდებს შორის მჯდომარე ფრენბურთში ამხანაგური მატჩი გაიმართა. სპორტული შეჯიბრება „ძლიერთა თამაშების“ (“Invictus Games”) პროექტის ფარგლებში ჩატარდა.

თითოეული გუნდი ექვსი მონაწილისგან დაკომპლექტდა. 2008 წლის აგვისტოს ომსა და საერთაშორისო მისიებში დაჭრილ ქართველ სამხედროებთან ერთად „ძლიერთა თამაშებში“ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის ატაშე საქართველოში, ვიცე-პოლკოვნიკი ნიკ ვილკესი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის დირექტორი ირაკლი ჟორჯოლიანი, დირექტორის მოადგილე მურმან პატარაია, ჟურნალისტი ლევან ჯავახიშვილი, ჯომარდობის ფედერაციის ხელმძღვანელი დავით ქაცარავა და ვეტერანი რაგბისტი გიორგი ბიძინაშვილი მონაწილეობდნენ. მატჩს მსაჯობა ფრენბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა გაუწია.

შეჯიბრებას თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის, ასევე სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

კავკასიური პროექტი „ზღვიდან ზღვამდე“

25 ივლისს, ბათუმის საზაფხული თეატრში, ზღვისპირა პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ორგანიზებით და ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით კავკასიური პროექტის „ზღვიდან ზღვამდე“ – ფინალი გაიმართა. პროექტის ფარგლებში კულტურული და გასართობი ღონისძიებები რამდენიმე თვის მანძილზე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარეობდა.

ფინალურ კონცერტზე მონაწილეობენ ქართველი, ამერიკელი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოცეკვავეები.

ფინალურ ტურში გასულ მონაწილეები სამახსოვრო საჩუქრებით ფონდის დირექტორმა დააჯილდოვა. ღონისძიებას ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები, მათ შორის, აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი და კულტურის ატაშე ჯეიმს დიუ.

ამხანაგური მატჩი

21 სექტემბერს ფონდის მხარდაჭერით და საქართველოს ამერიკული ფეხბურთის ფედერაციის ორგანიზებით დიდ დილომში, კომპანია „ვისოლის“ სტადიონზე

გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ფლოტის ჯარისკაცებსა და საქართველოს ამერიკული ფეხბურთის გუნდებს შორის.

ზემოთ აღნიშნული პროექტების პარალელურად ფონდის წარმომადგენლები აქტიურად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ღონისძიებაში, ასე მაგალითად: 26 მაისისადმი მიძღვნილ საზეიმო პროგრამაში; აშშ-ს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში; საერთაშორისო მასშტაბურ მარათონში - ირბინე მსოფლიოსთან ერთად პროგრამაში, ჭყონდიდობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ პროექტებში მარტვილში და ა.შ. ეწყობოდა საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში ფონდის საქმიანობის გაცნობის მიზნით და მრავალი სხვა;

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის სამომავლო გეგმები

2015 წელს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი შემდეგ სამოქმედო მიმართულებებზე იქნება ორიენტირებული:

- სამინისტროსთან ერთად ხელს შეუწყობს ქვეყანაში სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელებას;
- პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრის პროცესში საჭიროებათა კვლევის საფუძველზე გამოავლენს საორიენტაციო მიმართულებებს. ასევე

იხელმძღვანელებს საქართველოს მთავრობისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სტრატეგიისა და საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის გათვალისწინებით;

- დააფინანსებს რეალურ შედეგზე, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებულ პროექტებს 2015 წლის პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისად; უპირატესობას მიენიჭებს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით წარმოდგენილ პროექტებს, ასევე ახალგაზრდულ ინიციატივებს მაღალმთიანი, საზღვრისპირა და კომპაქტურად დასახლებული რეგიონებიდან;
- განახორციელებს პროექტების მართვისა და მონიტორინგის სამსახურის გაძლიერებაზე ორიენტირებულ აქტივობებს;
- ხელს შეუწყობს პროექტების ადმინისტრირების კუთხით საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას;
- ამ ეტაპზე სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი გრანტების მოძიების მიმართულებით აქტიურად მუშაობს, 2015 წელს იგეგმება საპროექტო წინადადებების წარდგენა საერთაშორისო ფონდების მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებზე; საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით ფონდი გეგმავს დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა სხვადასხვა ფონდთან, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციასთან;
- შემუშავდება ფონდის სტრატეგიის ოფიციალური დოკუმენტი და დეტალურად გაიწერება მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა.

საერთო ჯამში ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2015 წლის სტრატეგია კვლავაც ორიენტირებული იქნება ახალგაზრდობის მდგრად განვითარებასა და ახალგაზრდული არასამთავრობო სექტორის გაძლიერებაზე.